UNI4VERSE საუნივერსიტეტო კონკურსი მწვანე ტექნოლოგიებში: წესები და პირობები

პროექტის აღწერა: UNI4VERSE საუნივერსიტეტო კონკურსი იწყება **3 ოქტომბერს** და მისი მიზანია გაზარდოს უნივერსიტეტებისა და სტუდენტების დაინტერესება ინოვაციებისა და ტექნოლოგიების მიმართ, ასევე გამოავლინოს წლის საუკეთესო უნივერსიტეტი.
2024 წლის მთავარი თემა არის „მწვანე ეკონომიკა და განახლებადი რესურსები“. პროექტი ორიენტირებულია მწვანე ეკონომიკის გამოწვევებისა და პრობლემების გადაჭრაზე, ინოვაციური სტარტაპ იდეების ჩამოყალიბებაზე და ფინალურ საუნივერსიტეტო კონკურსზე.

მონაწილეობის წესები და პირობები:

- პროექტში მონაწილეობის უფლება აქვთ სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტების **ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის აქტიური სტატუსის** მქონე სტუდენტებს.
  - თითოეული გუნდი დაკომპლექტებული უნდა იყოს **4 სტუდენტისგან**.
  - რეგისტრაციისას გუნდს უნდა ჰყავდეს მენტორი ან ხელმძღვანელი (მაგ., მოწვეული ლექტორი, აკადემიური პერსონალი, სამეწარმეო/კვლევითი ცენტრის თანამშრომელი და სხვ.).
  - ერთ მენტორს შეუძლია იყოს რამდენიმე გუნდის ხელმძღვანელი ერთდროულად შიდა იდეების კონკურსის პერიოდში.

იდენტიფიცირებული გამოწვევები:

1) მზის და თბური ენერგიის ათვისება/ეფექტრიანობის გაზრდა და მონიტორინგი (საუნივერსიტეტო სივრცეებში).

2) საყოფაცხოვრებო და სამეურნეო (სოფლის მეურნეობა/მრეწველობა) ნარჩენების ენერგეტიკული პოტენციალის ეფექტიანი გამოყენება

3) საყოფაცხოვრებო პირობებში ენერგიის მოხმარების მართვა და მონიტორინგი

4) სამშენებლო ნარჩენების ხელახალი გამოყენება, გადამუშავება და მონიტორინგი.

5) მწვანე მობილობის (სამგზავრო და სატვირთო) გაუმჯობესება

სტუდენტური გუნდები ირჩევენ ერთერთ გამოწვევას და მუშაობენ მის ინოვაციურ გადაწყვეტილებებზე.

კონკურსის ეტაპები:

1. **შიდა საუნივერსიტეტო კონკურსი:**
    - გუნდები არეგისტრირებენ თავიანთ იდეებს შიდა საუნივერსიტეტო კონკურსში.
    - შერჩევის შემთხვევაში, გუნდი ამზადებს პრეზენტაციას და წარადგენს საკონკურსო პროექტს უნივერსიტეტში.
    - ჟიური გამოავლენს თითოეული უნივერსიტეტიდან თითო საუკეთესო გუნდს, რომელიც ფინალში გადავა.
2. **ტრენინგი და მენტორშიპი:**
    - თითოეული უნივერსიტეტის რჩეული გუნდი გაივლის 4-დღიან ტრენინგსა და მენტორშიფ სესიებს თბილისის ტექნოპარკში, რათა დახვეწონ თავიანთი იდეები და შექმნან პროტოტიპები.
3. **ფინალური კონკურსი:**
    - ფინალური კონკურსი ჩატარდება თბილისის ტექნოპარკში, სადაც გუნდები დემო დღეზე წარადგენენ თავიანთი იდეების პრეზენტაციებს ჟიურის წინაშე.

შეფასების კრიტერიუმები:

ჟიური გუნდებს შეაფასებს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- **ინოვაცია და კრეატიულობა**
- **კომერციალიზების პოტენციალი**
- **მასშტაბირებადობა**
- **პროტოტიპი**
- **პრეზენტაცია**
- **გუნდი**

მონაწილეთა ვალდებულებები:

- **გუნდების მომზადება:** თითოეული ეტაპის მოთხოვნების შესაბამისად, გუნდებმა უნდა შექმნან და წარადგინონ თავიანთი იდეები.
- **მენტორთან თანამშრომლობა:** მენტორებთან აქტიური თანამშრომლობა აუცილებელია გუნდის წარმატებისთვის.
- **ვადების დაცვა:** გუნდებმა უნდა შეასრულონ ყველა დავალება და წარადგინონ პროექტები დადგენილ ვადებში.

განაცხადის წარდგენა:

განაცხადის რეგისტრირება უნდა მოხდეს ონლაინ შემდეგ მისამართზე არსებული ფორმის სრულად შევსებით:

https://apps.mygita.ge/zs/dKBTC0

აუცილებელია გუნდის თითოეული წევრის ინდივიდუალური რეგისტრაცია.

განაცხადის წარდგენის ბოლო ვადა:

2024 წლის 31 ოქტომბერი.